საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №501

2018 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

„შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 27/03/2014, 010210000.08.002.016923) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების უზრუნველსაყოფად, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული შეწყალების წესი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**